ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2014 წლის 29 ოქტომბრის სხდომის

ოქმი №10

სხდომას ესწრებოდა: 28 წევრიდან – 15

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის ძალადაკარგულ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების თავსებად აკრედიტირებულ პროგრამებზე გადაყვანისას სასწავლო და კვლევითი კომპონენტების აღიარების წესის დამტკიცება
   მომხს: დალი ოსეფაშვილი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მ. შ

2. "კულტურისა და მედიის სოციოლოგიის" სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დამტკიცება
   მომხს: დალი ოსეფაშვილი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მ. შ

3. ცვლილებები ფაკულტეტის სტუდენტთა უცხოეთში მივლინების წესში
   მომხს: თ. მახარაძე, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. თსუ-ის აკადემიური საბჭოს №44/2014 დადგენილების შესაბამისად, ფაკულტეტის ძალადაკარგულ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების თავსებად აკრედიტირებულ პროგრამებზე გადაყვანისას სასწავლო და კვლევითი კომპონენტების აღიარების წესის დამტკიცების აუცილებლობაზე ისაუბრა დალი ოსეფაშვილმა

აზრი გამოთქვეს: ნ. მაჭარაშვილმა, თ. დოლბაიამ, ნ. დურგლიშვილმა, გ. გოგსაძემ

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის ძალადაკარგულ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების თავსებად აკრედიტირებულ პროგრამებზე გადაყვანისას სასწავლო და კვლევითი კომპონენტების აღიარების წესი (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 2. დალი ოსეფაშვილმა გამოიტანა საკითხი "კულტურისა და მედიის სოციოლოგიის" სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დამტკიცების შესახებ. დამსწრეთა შეკითხვებს პასუხი გასცა პროგრამების ხელმძღვანელმა ლია წულაძემ

აზრი გამოთქვეს: დ. ოსეფაშვილმა, თ. მახარაძემ, ნ. დურგლიშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს "კულტურისა და მედიის სოციოლოგიის" სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 3. ცვლილებები ფაკულტეტის სტუდენტთა უცხოეთში მივლინების წესში წარმოადგინა თამარ მახარაძემ

აზრი გამოთქვეს: ა. ბერძენიშვილმა, გ. გოგსაძემ, დ. ოსეფაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის სტუდენტთა უცხოეთში მივლინების წესი წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის).

ფაკულტეტის საბჭოს თამჯდომარე: თამარ მახარაძე

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: თამარ დოლბაია

29 ოქტომბერი, 2014

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

1. თამარ მახარაძე

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

5. ზურაბ დავითაშვილი
6. ფიქრია ასანიშვილი
7. ალექსანდრე რონდელი
8. სერგი კაპანაძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. გია ჟორჟოლიანი
12. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკის მიმართულება

13. მარიამ გერსამია
14. დალი ოსეფაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

18. ნინო პავლიაშვილი
19. თამარ დოლბაია
20. გიორგი გოგსაძე
21. მარინა ბოკერია

სტუდენტური თვითმმართველობა

22. შალვა საბაური
23. გიორგი კაკაურიძე
24. თორნიკე ცინაძე
25. მაგდა გიბიშვილი
26. გიორგი როგავა
27. გვანცა გავაშელი
28. ტარიელ ირემაძე

საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობის დაფინანსების წესი

მუხლი 1. მიზანი

საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) სტუდენტების მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტის ჩართვას საერთაშორისო სასწავლო და კვლევითი პროექტების, ასევე პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში.

მუხლი 2. დაფინანსების მოთხოვნის უფლების მქონე პირი

1. ამ წესის მიზნებისათვის დაფინანსების მოთხოვნის უფლება აქვს ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს.

მუხლი 3. დაფინანსების ობიექტები

1. ფაკულტეტის მიერ შეიძლება დაფინანსდეს შემდეგი კატეგორიის აქტივობები:

ა) საერთაშორისო საუნივერსიტეტო კონფერენციებში მონაწილეობა;

ბ) კვლევით პროექტებში მონაწილეობა;

გ) საერთაშორისო მოდელირებებში მონაწილეობა;

დ) გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა;

ე) სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში (ტრენინგები, სემინარები და სხვა) და სასწავლო კურსებში მონაწილეობა;

ვ) საზაფხულო და სხვა სკოლები;

ზ) სტუდენტური კონგრესები, სიმპოზიუმები, შეხვედრები და სხვა სტუდენტური პროექტები;

2. დაფინანსების მიზნების გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღებისას პრიორიტეტი ენიჭებათ ამ მუხლის პირველი ფუნქტის „ა" – „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ აქტივობებს.

მუხლი 4. ანაზღაურების სახეები და ოდენობები

1. ფაკულტეტის მიერ შეიძლება ანაზღაურდეს, ან დაფინანსდეს სტუდენტის მგზავრობის ხარჯი, საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯი და ღონისძიებაში მონაწილეობის საფასური. დაუშვებელია სტუდენტის სხვა ხარჯ(ებ)ის დაფინანსება.

2. ანაზღაურების ოდენობები, დასაბეგრი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ბაკალავრიატის სტუდენტისათვის:

ა.ა) არაუმეტეს 1500 ლარი;

ა.ბ) სხვა კონტინენტზე გამართული აქტივობის შემთხვევაში არაუმეტეს 2000 ლარი;

ბ) მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტისათვის არაუმეტეს 2500 ლარი;

გ.გ) სხვა კონტინენტზე გამართული აქტივობის შემთხვევაში არაუმეტეს 3000 ლარი;

3. ერთი და იგივე სტუდენტი შეიძლება დაფინანსდეს კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 5. სტუდენტების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა ფაკულტეტის კანცელარიაში უნდა წარმოადგიონოს დეკანის სახელზე დაწერილი განცხადება და მას უნდა დაურთოს:

ა) მოწვევა და მოწვევის ქართული თარგამანი, ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული მთარგმნელის მიერ;

ბ) მგზავრობის ინვოისის დედანი ან გადახდის ქვითარი;

გ) სტუდენტის ცნობა;

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა სტუდენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც გაამყარებს საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებაში მისი მონაწილეობისა და დაფინანსების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

მუხლი 6. განაცხადების განმხილველი კომისია

1. კონკრეტული სტუდენტის სრული, ან ნაწილობრივი დაფინანსების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, დეკანის ბრძანებით ფაკულტეტზე იქმნება სტუდენტთა განაცხადების განმხილველი კომისია (შემდგომში - კომისია), რომლის შემადგენლობაში შედის მიმართულებების მიერ ნომინირებული ფაკულტეტის თითოეული მიმართულების აკადემიური პერსონალიდან არანაკლებ ერთი წარმომადგენელი და ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი ფაკულტეტის საბჭოში არჩეული ერთი სტუდენტური თვითმმართველობის წევრი. კომისიას თავმჯდომარეობს დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში.

2. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ. კომისიის გადაწყვეტილების მისაღება აუცილებელია კომისიის ნახევარზე მეტი წევრების სხდომაზე დასწრება, ან კანონით დადგენილი წესით მონაწილეობა.

3. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია დეკანის მოადგილის ხმა.

4. კომისიის სხდომებზე წარმოებს სხდომის ოქმი.

5. სტუდენტთა განცხადებების განხილვის საფუძველზე, კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღება, წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანის მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის შესაბამისი წერილის გაგზავნის საფუძველს.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძალადაკარგულ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების თავსებად აკრედიტებულ პროგრამებზე გადაყვანისას სასწავლო და კვლევითი კომპონენტის აღიარების წესის შესახებ

მუხლი 1. სამართლებრივი საფუძველი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში ფაკულტეტი) ძალადაკარგულ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების თავსებად აკრედიტებულ პროგრამებზე გადაყვანისას სასწავლო და კვლევითი კომპონენტის აღიარების წესის (შემდგომში: კრედირების აღიარება) საფუძველია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 მაისის N44/2014 დადგენილება.

მუხლი 2. კრედიტების აღიარების ზოგადი წესი

1. კრედიტების აღიარება ხდება თავსებადი და მსგავსი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.
2. კრედიტების აღიარებისას მაქსიმალურად ხდება სტუდენტის ინტერესის გათვალისწინება, რათა არ მოხდეს სტუდენტის უფლებების შეზღუდვა.

მუხლი 3. კრედიტების აღიარების უფლებამოსილი ორგანო:

კრედიტების აღიარების უფლებამოსილება ეკუთვნის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურს.

მუხლი 4. კრედიტების აღირების საფუძველი

კრედიტების აღიარების საფუძველია:
ა) სტუდენტის პირადი განცხადება;
ბ) ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის გადაწყვეტილება;
გ) უნივერსიტეტის ან სხვა დაინტერესებული პირის განცხადება.

მუხლი 5. კრედიტების აღიარების პირობები

1. კრედიტების აღიარება ხდება, როგორც სასწავლო აგრეთვე კვლევითი კომპონენტის ფარგლებში;
2. კრედიტების აღიარება ხდება ინდივიდუალური წესით, სტუდენტის ინტერესის მაქსიმალური გათვალისწინებით;

3. კრედიტების აღიარებისას არ უნდა დაირღვეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტები.
4. კრედიტების აღიარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას აკრედიტირებული პროგრამის სწავლის შედეგები.
5. კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ მოპოვებული კრედიტების ოდენობით.
6. სტუდენტისათვის დამატებითი კრედიტების მოპოვების ვალდებულება განისაზღვრება, მხოლოდ თავსებად აკრედიტირებულ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის აუცილებლობით.

მუხლი 6: კრედიტების აღიარების დასკვნა

კრედიტების აღიარებისას კეთდება დასკვნა რომელსაც ხელს აწერს ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი და ფაკულტეტის დეკანი.

მუხლი 7: კრედიტების აღიარების სტუდენტის სასწავლო ბარათში ასახვა

კრედიტების აღიარების დასკნის შედეგები უნდა აისახოს სტუდენტის სასწავლო ბარათში

სამაგისტრო პროგრამა: **კულტურის და მედიის სოციოლოგია**

1. ა) **სამაგისტრო პროგრამის დასახელება**: კულტურის და მედიის სოციოლოგია - Sociology of Culture and Media

ბ) **მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: სოციალური და კულტურული კვლევების მაგისტრი - MA in Social and Cultural Studies (070604).

გ) **პროგრამის მოცულობა კრედიტებით**: 120 კრედიტი

დ) **სწავლების ენა**: ქართული

ე) **სამაგისტრო პროგრამის მიზანი:**

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრანტების სპეციალიზება კულტურის და მედიის სოციოლოგიის მიმართულებით. ის უზრუნველყოფს მაგისტრანტებს კულტურის, მედიის, სოციალური კომუნიკაციების და საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ურთიერთგავლენის ცოდნით. პროგრამა ინტერდისციპლინური ხასიათისაა და მიუხედავად იმისა, რომ სოციოლოგიურ ხედვას ეფუძნება, ფართოდ იყენებს მომიჯნავე დისციპლინების (ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის, პოლიტიკის მეცნიერების, ჟურნალისტიკის) კვლევებსაც კულტურის და მედიის მიმართულებით.

1980-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული ე.წ. ,,კულტურული ბრუნის" პერიოდმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კულტურის ფენომენის კვლევისადმი არა მარტო სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, არამედ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებშიც. სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი კულტურის სოციოლოგიას, აგრეთვე კულტურის და მედიის კვლევებს, როგორც დამოუკიდებელ დისციპლინებს. ამდენად, პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს, გაეცნონ ამ ინოვაციურ სფეროში ბოლო ათწლეულებში დაგროვილ თეორიულ და ემპირიულ მასალას და გამოიყენონ ,,სოციოლოგიური წარმოსახვა" კულტურის და მედიის ინტერდისციპლინური ფენომენების გასაანალიზებლად.

ინტერდისციპლინურობასთან ერთად, პროგრამის ამოსავალი პრინციპია საკვლევი მეთოდების მრავალფეროვნება, რაც აგრეთვე ,,კულტურული ბრუნის" ერთ-ერთ დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან 1980-იან წლებამდე, დაახლოებით ნახევარი საუკუნის მანძილზე, ემპირიული სოციოლოგიური კვლევის საფუძვლად რაოდენობრივ მეთოდებს მიიჩნევდნენ და სწორედ

კულტურის ფენომენისადმი ინტერესმა გამოიწვია სოციოლოგიის დაბრუნება სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდებთან. სამაგისტრო პროგრამა ყოველმხრივ წაახალისებს ,,ტრიანგულაციის" პრინციპის საფუძველზე კულტურის და მედიის ფენომენების კვლევას; ამდენად, ის სთავაზობს მაგისტრანტებს მეთოდების ისეთ მრავალფეროვნებას, როგორიცაა რაოდენობრივი გამოკითხვის მეთოდი შესაბამისი სტატისტიკური ანალიზით, თვისებრივი ინტერვიუ, ეთნოგრაფიული კვლევა, რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზი, დისკურსის ანალიზი, სემიოტიკური ანალიზი, ფსიქოსემანტიკა და ისტორიული კვლევის მეთოდოლოგია.

სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინურ და მულტიმეთოდურ ხასიათს მისი კროსკულტურული აქცენტიც ამდიდრებს. წარმოდგენილი კურსები იყენებენ გლობალურ, კომპარატიულ მიდგომას კულტურის და მედიის ფენომენების ანალიზისას.

პროგრამა ორიენტირებულია ინტერდისციპლინური აზროვნების განვითარებაზე, მაგისტრანტების დაინტერესებაზე რეალური ემპირიული კვლევებით, განსაკუთრებით, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში, და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, თეორიის ემპირიაში გამოყენების მიზნით.

3) **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** პროგრამაში სწავლის უფლება აქვთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებს.

- სამუშაო გამოცდილება: არ არის სავალდებულო.

- მისაღები გამოცდები პროგრამაზე ჩასარიცხად:

- მისაღები გამოცდები ჩატარდება ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრისა და თსუ–ს სტანდარტების შესაბამისად. საუნივერსიტეტო/პროგრამაზე მისაღები გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, საგანგებო და პროგრამისთვის შექმნილი საგამოცდო რიდერის ბაზაზე. წერით გამოცდასთან ერთად, სტუდენტები გაივლიან გასაუბრებას პროგრამის ხელმძღვანელებთან. საბოლოო შეფასების 50% წერით გამოცდაზე მოდის და 50% - გასაუბრებაზე.

აუცილებელი წინაპირობა:

- ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე მაინც (სასურველია B2 დონეზე), რადგან საკითხავი მასალის მნიშვნლოვანი ნაწილი ინგლისურ ენაზეა. გარდა ამისა, ცოდნის განახლება ამ სფეროში ძირითადად საერთაშორისო აღიარების მქონე ინგლისურენოვანი სამეცნიერო ჟურნალების საფუძველზე ხდება. საგამოცდო გასაუბრების ნაწილია ინგლისურ ენაზე გასაუბრებაც.

ზ) **სწავლის შედეგი**

ცოდნა და გაცნობიერება:

სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ კულტურასა და მედიაკომუნიკაციებთან დაკავშირებული აქტუალური თემატიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს ამ სფეროსათვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ/ცნებით აპარატს და ემპირიულ ინსტრუმენტებს. მათ ეცოდინებათ კულტურის და მედიაკომუნიკაციების შესახებ კლასიკური და თანამედროვე სოციოლოგიური მიდგომები და უახლესი კროსკულტურული კვლევები, კულტურის და მედიის საზოგადოებაზე გავლენის მექანიზმები, თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე გლობალური ტრანსფორმაციები, რომლებსაც ინფორმაციულ-კომუნიკაციური რევოლუცია იწვევს.

მაგისტრანტებს გაცნობიერებული ექნებათ:

კულტურის და მედიის როლი ინფორმაციულ საზოგადოებაში და მათი გავლენები მიმდინარე ტრანსფორმაციებზე;

კულტურის შექმნის, შეთვისების და გადაცემის მექანიზმები ცვალებად სოციალურ რეალობაში;

კულტურული იდენტობების სიმრავლე და ცვალებადობა თანამედროვე მულტიკულტურულ მსოფლიოში;

გლობალური მედიის, როგორც ტრანსკულტურული და ტრანსნაციონალური ფენომენის, როლი;

ავტორიტარული და დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმების გავლენა მედიის ინსტიტუტების ფუნქციონირებასა და ობიექტურობაზე; ცენზურის და პოლიტიკური აქტივიზმის შესაძლებლობები მედიის გზით;

პოლიტიკის ველის და ჟურნალისტიკის ველის ურთიერთდამოკიდებულება; აგრეთვე მასმედიისა და ჯგუფური ინტერესების ურთიერთკავშირი, შესაბამისად, იდეოლოგიის როლი მასმედიის ფუნქციონირებაში;

ინფორმაციულ საზოგადოებაში სოციალური მედიის ვირტუალურ სივრცეში განხორციელებული აქტივობების რეალურად ქცევის შესაძლებლობები და მათი გავლენა კულტურაზე.

მიღებული ცოდნა ხელს შეუწყობს სტუდენტებს ორიგინალური იდეების შემუშავებასა და დამოუკიდებელი ემპირიული კვლევების დაგეგმვაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები:

კურსდამთავრებულთა წარმატებული პროფესიული საქმიანობა გულისხმობს შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებას ახალ მულტიდისციპლინურ გარემოში, კულტურის, მედიის და მასობრივი კომუნიკაციების სფეროთა ემპირიული კვლევისა და პროგნოზირების მოთხოვნის პირობებში. შესაბამისად, კურსდამთავრებულთა კომპეტენცია მოიცავს თანამედროვე ცვალებად საზოგადოებაში სოციოკულტურულ პროცესთა კრიტიკულ ანალიზს, მათ შესასწავლად კვლევითი სტრატეგიებისა და მეთოდების შერჩევა–გამოყენებას, მოპოვებული მონაცემების რაოდენობრივ/თვისებრივ ანალიზს და ინტერპრეტაციას, და თეორიული იდეების ემპირიული რეალიზაციის შესაძლებლობას.

ამგვარად, მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა კომპეტენციაში შედის ტრანსფორმირებად საზოგადოებაში მიმდინარე სოციოკულტურული ცვლილებების დინამიკის ემპირიული შესწავლა, კრიტიკული შეფასება და პრობლემების გადაჭრის ახალი, ორიგინალური გზების ძიება. აღსანიშნავია, რომ კულტურული იდენტობების ფორმირებისა და პრეზენტაციის სტრატეგიების ცოდნა უზრუნველყოფს მაგისტრანტს კულტურული სენსიტიურობით სხვადასხვა სოციოკულტურულ გარემოში. ამასთან, იმ რადიკალური ტრანსფორმაციების გაცნობის შედეგად, რომლებსაც თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციულ-კომუნიკაციური რევოლუცია იწვევს, მაგისტრანტს შესაძლებლობა ექნება, კრიტიკულად შეაფასოს ინფორმაციის როლი თანამედროვე მსოფლიოს განვითარებასა და ფუნქციობაში, და ემპირიულად შეისწავლოს კონკრეტული შემთხვევები (case) საქართველოს და სამხრეთ კავკასიის რეგიონის რეალობაში, ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ტენდენციებისა და პერსპექტივების დადგენის მიზნით.

დასკვნის უნარი:

სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია მაგისტრანტთა კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, ინტელექტუალური ინიციატივის, ინფორმაციის მოგროვების, ორგანიზების და გამოყენების, პრობლემათა აღქმისა და გადაჭრის, ინფორმაციის მართებულობის შემოწმების, არგუმენტების დასაბუთებულად ჩამოყალიბების, კონტრარგუმენტების დამაჯერებლად უკუგდების, თეორიული და ემპირიული მასალის ნათლად და ეფექტურად პრეზენტაციის უნარის გამომუშავებაზე. მაგისტრანტს მოეთხოვება უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, არასრული და კომპლექსური ინფორმაციის არსებობის

პირობებში არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება, და მათ საფუძველზე აკადემიური რეფლექსიის და კრიტიკული შეფასების განხორციელება.

კომუნიკაციის უნარი:

მაგისტრანტს მოეთხოვება არგუმენტების დამაჯერებლად ფორმულირების და მათი ნათლად და ეფექტურად პრეზენტაციის უნარი როგორც სიტყვიერად, ასევე წერილობით. ის უნდა ფლობდეს მიღებული ცოდნის სხვებისთვის გაზიარებისა და გადაცემის უნარს. მაგისტრანტს უნდა შეეძლოს გუნდური მუშაობა და ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილეობა, აგრეთვე მათი წარმართვა/მოდერაცია. გარდა სხვა სტუდენტებთან და პედაგოგებთან აკადემიური კომუნიკაციის უნარისა, მაგისტრანტს უნდა ახასიათებდეს რესპონდენტებთან ეთიკური და კორექტული ურთიერთობის უნარი. ამასთან, მას უნდა შეეძლოს აკადემიური და ფართო საზოგადოებისთვის სამეცნიერო ინფორმაციის ქართულ და უცხო ენებზე ეფექტური კომუნიკაცია, უახლესი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

სწავლის უნარი:

მაგისტრანტს მოეთხოვება მასალის წვდომისა და შესაბამისი გააზრების უნარი; მასალის სტრუქტურირების უნარი; მისი ანალიზის და სინთეზის უნარი; მასალაზე კრიტიკული რეფლექსიის უნარი; სასწავლო პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; ცოდნის განახლებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარი.

ღირებულებები:

ვინაიდან სამაგისტრო პროგრამა კულტურის და მედიის სოციოლოგიის სფეროს მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, ის კულტურული ტოლერანტობის დამკვიდრება-განმტკიცებას და მულტიკულტურულ საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაცხოვრების სტრატეგიების განვითარებას ემსახურება. კულტურული ტოლერანტობის განმტკიცებასთან ერთად, პროგრამა მიზნად ისახავს რელიგიური, ეთნიკური, გენდერული და სხვა სუბკულტურული ჯგუფების მიმართ ტოლერანტობის განვითარებას. პროგრამა ორიენტირებულია ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარების განვითარებაზეც.

რაც შეეხება სოციალური მკვლევრისთვის მნიშვნელოვან ღირებულებებს, პროგრამა ხელს უწყობს შემდეგი ღირებულებების განვითარებას: პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვა; რესპონდენტებთან ეთიკური და კორექტული ურთიერთობების კომპეტენცია; მათი კონფიდენციალობის შენარჩუნება და ზიანის მიყენებისგან დაცვა; მკვლევრის მიუკერძოებლობა და კეთილსინდისიერება. ამდენად, მაგისტრანტს მოეთხოვება პროფესიული ღირებულებების განმტკიცებაში წვლილის შეტანა.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

წიგნზე მუშაობის მეთოდი - საკვლევ სფეროში არსებული უახლესი ლიტერატურის გაცნობა-დამუშავება, შემოქმედებითად გააზრება და მის საფუძველზე საკუთარი ემპირიული კვლევისთვის თეორიული ჰიპოთეზების შემუშავება.

წერითი მუშაობის მეთოდი - კვლევის მონაცემების წარდგენა სხვადასხვა ჟანრის აკადემიური ნაშრომის სახით, როგორიცაა არგუმენტირებული ესე, ანალიტიკური რეფერატი, რეცენზია და სხვ.

პრაქტიკული მეთოდები - ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა და მისთვის ადეკვატური კვლევის მეთოდების შერჩევა-გამოყენება (ინტერდისციპლინურობის და მულტიმეთოდურობის პრინციპების გათვალისწინებით).

დისკუსია–დებატები - მომიჯნავე სფეროების მაგისტრანტებთან დისკუსიების წარმართვის უნარი; სწავლების ქვედა საფეხურზე მყოფი სტუდენტების დისკუსიებში ჩართვისა და მათი მოდერაციის უნარი; დარგის სპეციალისტებთან დისკუსია-დებატების წარმართვა, საკუთარი არგუმენტების ნათლად ფორმულირების და დამაჯერებელი მხარდაჭერით გამყარების, აგრეთვე ოპონენტის არგუმენტების დასაბუთებულად უკუგდების საფუძველზე.

ჯგუფური მუშაობა - გუნდური მუშაობის პრაქტიკა სხვა სტუდენტებთან ერთად მცირემასშტაბური რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების დაგეგმვის და ჩატარების საფუძველზე.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - საკვლევი პრობლემის სწორად დასმა და მის გადასაჭრელად ადეკვატური საკვლევი ინსტრუმენტების შერჩევა; პრობლემის გადაჭრის არსებული გზების ინოვაციური ხედვით გამდიდრება.

შემთხვევის ანალიზი (Case Study) - საკვლევ საკითხთან მიმართებაში სხვა ქვეყნების და რეგიონების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების კომპარატიული ანალიზი, საკუთარი რეგიონის და საზოგადოების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების კომპარატიული ანალიზი, საკუთარი შემთხვევის ინტერპრეტაცია და კრიტიკული შეფასება ზემოთგანხილული შემთხვევების კონტექსტში.

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა.

(A) 91 -100 ფრიადი
(B) 81 -90 ძალიან კარგი
(C) 71 -80 კარგი
(D) 61 -70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51 - 60 საკმარისი
(FX) 41 - 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა:

რეცენზენტის შეფასება - 40%
ხელმძღვანელის შეფასება - 30%
პრეზენტაციის შეფასება - 30%

შეფასების აუცილებელი კომპონენტია სადიპლომო ნაშრომის წინასწარი წარდგენა (დაცვამდე ორი თვით ადრე), რომლის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება, მზადაა თუ არა სტუდენტი, დასაცავად წარადგინოს სადიპლომო ნაშრომი.

კ) **სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით**

პროგრამის სტრუქტურა

(120 კრედიტი: 50 - სავალდებულო, 30 - არჩევითი, 10 - თავისუფალი, 30 - სამაგისტრო ნაშრომი)

კურსი	სავალდებულო	არჩევითი
1	მედიის და კომუნიკაციის სოციოლოგია (ა. ბერძენიშვილი	ინფორმაციული საზოგადოების თეორიები (ა. ბერძენიშვილი)
2	კომუნიკაციის სოციოლოგიური თეორიის საფუძვლები	სუბკულტურა - თეორიული მიდგომები, ემპირიული კვლევები

	(ა. ბერძენიშვილი)	(ლ. წულაძე)
3	მედია და ხელისუფლება (ი. ანთაძე)	კულტურის სემიოტიკა (ლ. წულაძე)
4	კულტურა და სოციალური კვლევის მეთოდოლოგია (ლ. სურმანიძე)	ელექტრონული პიარი (რ. შინჯიკაშვილი)
5	კულტურა და იდენტობები ცვალებად საზოგადოებაში (ლ. წულაძე)	რეკლამა და პროდუქტის დამკვიდრება (დაწინაურება) (ლ. იაკობიშვილ
6	ეროვნული იდენტობა და ნაციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში (ლ. წულაძე)	რელიგიის ანთროპოლოგია (ქ. ხუციშვილი)
7	სოციალური თეორიები (კლასიკური და თანამედროვე) (ა. ბერძენიშვილი)	ვიზუალური ანთროპოლოგია (ქ. ხუციშვილი)
8	რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები (ლ. წულაძე)	ემოცია და კულტურა (თ. აბაშიძე)
9	მონაცემთა ანალიზი IBM.SPSS-ის გამოყენებით (ლ. ხეჩუაშვილი)	იმიჯმეიკინგი (ფ. ესებუა)
10	პროფესიული პრაქტიკა	ლიდერობა და ადამიანთა მართვის ხელოვნება (ნ. ხარაძე)
11		კულტურის პოსტმოდერნული ტრანსფორმაციები (ა. ყულიჯანაშვილი)
12		გენდერის სოციალურ-პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა (ლ. გაფრინდაშვილი)
13		ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ლ. სურმანიძე)
14		ფსიქოსემანტიკა. ფსიქოსემანტიკური კვლევები (ლ. სურმანიძე)

(სტუდენტს მოეთხოვება 10 სავალდებულო და 8 არჩევითი საგნის გავლა (მათ შორის 2 საგანი თავისუფალი კრედიტიდან). ასარჩევად მიეწოდება 14 საგანი. თავისუფალი კრედიტების გამოყენება შეუძლია როგორც არჩევითი საგნების წარმოდგენილი სიიდან მისთვის საინტერესო საგნების, ისე იმ საგნების არჩევის საფუძველზე, რომლებიც არაა წარმოდგენილი მოცემულ კურიკულუმში).

ლ) **პროგრამის ხელმძღვანელები:**

ამირან ბერძენიშვილი - სრული პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
ლია წულაძე - ასოცირებული პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალიდან (13 ადამიანი) მოწვეული პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 4 ადამიანს (ი. ანთაძე, რ. შინჯიკაშვილი, ლ. იაკობიშვილი და ფ. ესებუა).

მ) დასაქმების სფეროები:

სამთავრობო და არასამთავრობო, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, სამეცნიერო/კვლევითი ცენტრები, პოლიტიკური კონსულტაციის ცენტრები, მასმედიის საშუალებები, პრესცენტრები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები. მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაბამისი საფუძველი დოქტურანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.

ნ) დამატებითი ინფორმაცია:

სამაგისტრო პროგრამას შესაძლებლობა აქვს, მოემსახუროს 10-12 სტუდენტს.

სამაგისტრო პროგრამას აქვს ანალოგიები მსოფლიოს არაერთ უნივერსიტეტში, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მედიის, კულტურის და ახალი ტექნოლოგიების კვლევითი მიმართულება კემბრიჯის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტში, რომელსაც ინფორმაციული საზოგადოების თეორიის ავტორი მანუელ კასტელსი ხელმძღვანელობს და წამყვანი სპეციალისტია კულტურის სოციოლოგიაში ახალი პარადიგმის ფუძემდებლად ცნობილი ჯეფრი ალექსანდერი:
http://www.sociology.cam.ac.uk/research/mediaculture.html

აღსანიშნავია ლანკასტერის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტის მედიის და კულტურის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც საკმაოდ პოპულარულია ბრიტანეთში:
http://www.lancaster.ac.uk/sociology/prospective/ma/degrees/media&cultural.htm

საერთაშორისო სტუდენტებს შორის კი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს კულტურის, მედიის და ხელოვნების სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა როტერდამის ერასმუსის უნივერსიტეტში:
http://www.mastersportal.eu/studies/15237/sociology-of-culture-media-and-the-arts.html

2. ა) სილაბუსები (იხ. დანართი 1)

ბ) ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ (იხ. დანართი 2)

გ) ინფორმაცია მატერიალური რესურსების შესახებ:

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკები და რესურს-ცენტრები.

დ) პროგრამის დამტკიცების აქტი: იხ. სხდომის ოქმი.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

120 კრედიტი (ECTS)											
სავალდებულო კურსები– 50 კრედიტი (ECTS) + არჩევითი 30 კრედიტი (ECTS)+თავისუფალი 10 კრედიტი (ECTS) +სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი (ECTS)											
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
				ლექცია – პრაქტიკ	მუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა			ა ფ ხ	ბ გ ი	

			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / [illegible]								
1	კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგია	5	15	15	65	10+10	8	2	წინაპირობის გარეშე	✓		ა. ბერძენიშვილი
2	სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები	5	10	20	93	---	---	2	წინაპირობის გარეშე	✓		ლ. წულაძე
3	კულტურა და სოციალური კვლევის მეთოდოლოგია	5	20	20	67	4+2	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლ. სურმანიძე
4	კულტურა და იდენტობები ცვალებად საზოგადოებაში	5	13	17	58	10+10	15	2	წინაპირობის გარეშე		✓	ლ. წულაძე
5	სოციალური თეორიები (კლასიკური და თანამედროვე მიდგომები)	5	15	25	65	10	8	2	წინაპირობის გარეშე		✓	ა. ბერძენიშვილი
6	მონაცემთა ანალიზი IBM.SPSS_ის გამოყენებით	5	15	15	76	3+3	10	3	წინაპირობის გარეშე		✓	ლ. ხეჩუაშვილი
7	ეროვნული იდენტობა და ნაციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში	5	13	17	58	10+10	15	2	წინაპირობის გარეშე		✓	ლ. წულაძე
8	კომუნიკაციის სოციოლოგიური თეორიის საფუძვლები	5	15	15	67	8+8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ა. ბერძენიშვილი
9	მედია და ხელისუფლება	5	15	15	75	10	8	2	წინაპირობის გარეშე	✓		ი. ანთაძე

10	პროფესიული პრაქტიკა									✓		ა. ბერძენიშვილი (ISDI), ლ. წულაძე (CSS), ი. ანთაძე (სგი)
1-5	არჩევითი საგნები (გაზაფხული): 1. ლიდერობა და ადამიანთა მართვის ხელოვნება 2. იმიჯმეიკინგი 3. ფსიქოსემანტიკა 4. ვიზუალური ანთროპოლოგია 5. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია	10							სტუდენტს შეუძლია აირჩიოს 2 ხუთკრედიტიანი საგანი შეთავაზებული საგნებიდან:		✓	
	ლიდერობა და ადამიანთა მართვის ხელოვნება	5	15	30	67	6	8	2	კულტურის და მედიის სოციოლოგია		✓	ნ. ხარაძე
	იმიჯმეიკინგი	5	15	15	75	10	8	2	კულტურის და მედიის სოციოლოგია		✓	ფ. ესებუა
	ფსიქოსემანტიკა	5	15	24	62	8+4	10	2	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია		✓	ლ. სურმანიძე
	ვიზუალური ანთროპოლოგია	5	30	15	60	4+4	9	3	კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია		✓	ქ. ხუციშვილი
	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია	5	20	20	61	7+2	12	3	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია		✓	ლ. სურმანიძე
6-14	არჩევითი საგნები (შემოდგომა): 6. სუბკულტურა – თეორიული მიდგომები, ემპირიული კვლევები 7. კულტურის სემიოტიკა 8. ინფორმაციული საზოგადოების თეორიები 9. კულტურის პოსტმოდერნული ტრანსფორმაციები	30							სტუდენტს შეუძლია აირჩიოს 2 ან 3 (თავისუფალი კრედიტების გამოყენებით) ხუთკრედიტიანი საგანი შეთავაზებული	✓		

	10. გენდერის სოციალურ-პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა 11. რელიგიის ანთროპოლოგია 12. ემოცია და კულტურა 13. ელექტრონული პიარი 14. რეკლამა და პროდუქტის დამკვიდრება (დაწინაურება)								საგნებიდან შემოდგომის თითოეულ სემესტრში:			
	სუბკულტურა – თეორიული მიდგომები, ემპირიული კვლევები	5	13	17	58	10+10	15	2	კულტურის და მედიის სოციოლოგია	✓		ლ. წულაძე
	კულტურის სემიოტიკა	5	13	17	58	10+10	15	2	კულტურის და მედიის სოციოლოგია	✓		ლ. წულაძე
	ინფორმაციული საზოგადოების თეორიები	5	15	30	60	10	8	2	კულტურის და მედიის სოციოლოგია	✓		ა. ბერძენიშვილი
	კულტურის პოსტმოდერნული ტრანსფორმაციები	5	30	30	45	4+4	9	3	სოციოლოგია	✓		ა. ყულიჯანაშვილი
	გენდერის სოციალურ-პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა	5	15	15	65	12	16	2	სოციოლოგია	✓		ლ. გაფრინდაშვილი
	რელიგიის ანთროპოლოგია	5	30	15	60	4+4	9	3	კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია	✓		ქ. ხუციშვილი
	ემოცია და კულტურა	5	13	13+2	79	4	12	2	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია	✓		თ. აბაშიძე
	ელექტრონული პიარი	5	15	15	60	10+10	12	3	კულტურის და მედიის სოციოლოგია	✓		რ. შინჯიკაშვილი

	რეკლამა და პროდუქტის დამკვიდრება (დაწინაურება)	5	15	15	65	8+8	12	2	კულტურის და მედიის სოციოლოგია	✓		ლ. იაკობიშვილი
15	**სამაგისტრო ნაშრომი**	**30**									✓	

სადოქტორო პროგრამა: **კულტურის და მედიის სოციოლოგია**

1. **სადოქტორო პროგრამის სახელწოდება**: კულტურის და მედიის სოციოლოგია - Sociology of Culture and Media

2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: სოციოლოგიის დოქტორი - PhD in Sociology (0706)

3. **სწავლების ენა**: ქართული

4. **პროგრამის ხელმძღვანელები**: ამირან ბერძენიშვილი, სრული პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ლია წულაძე, ასოც. პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

5. **პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

ა) პროგრამის მიზანი: სადოქტორო პროგრამის მიზანია დამოუკიდებელი და სრულფასოვანი მკვლევრის მომზადება კულტურის და მედიის სოციოლოგიის სფეროში.

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სოციოკულტურული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანური ცხოვრების ყველა ასპექტზე; მასმედიის საშუალებები, განსაკუთრებით ახალი მედია, ამ ცვლილებების განხორციელების უმთავრესი ბერკეტია. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, თუ ადრე სოციალური პარადიგმების ცვლილებას საუკუნეები სჭირდებოდა, დღეს მათ ცვლილებას შესაძლოა მხოლოდ ათწლეულები დასჭირდეს და ეს ფუნდამენტური ცვლილებები სოციალურ მეცნიერებაში არსებული ცოდნის მუდმივ განახლებას მოითხოვს. ამდენად, მსოფლიოს წინაშე არასოდეს მდგარა სოციოკულტურული და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტრანსფორმაციების შესწავლის ისეთი საჭიროება, როგორც დღესაა.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს, წვლილი შეიტანოს სწორედ ამგვარი ტრანსფორმაციების შესწავლაში, საქართველოში და ზოგადად, კავკასიის რეგიონში ემპირიული კვლევების ჩატარების საფუძველზე. პროგრამის შესაძლო საკვლევი თემატიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს, თუმცა არ შემოიფარგლება მოცემული ჩამონათვალით:

- კულტურული, სუბკულტურული და მულტიკულტურული იდენტობები თანამედროვე რეალობაში;
- კულტურის შექმნის, შეთვისების და გადაცემის მექანიზმები ცვალებად პირობებში;
- კულტურა, როგორც დისკურსი - კულტურის წვდომა ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის საშუალებით; მედია და კულტურის პრეზენტაცია ვიზუალური ხატების/იმიჯების გზით;

- კულტურა, როგორც პერფორმანსი - კულტურის პრეზენტაცია გოფმანისეულ წინა და უკანა რეგიონებში, საერთაშორისო და ადგილობრივი პუბლიკისთვის, და მედიის როლი ამ პერფორმანსში;
- ეროვნული იდენტობა და ნაციონალიზმი თანამედროვე პირობებში და მათი შინაარსის ტრანსფორმაცია მიმდინარე სოციოკულტურული ცვლილებების გავლენით; ნაციონალიზმი და რელიგია - ნაციონალიზმი, როგორც რელიგია; ნაციონალიზმის კულტურული პოლიტიკა და მედიის როლი მის გატარებაში;
- თანამედროვე ტრანსფორმაციების გავლენა გენდერის კონცეპტის კულტურულ კონოტაციებზე და მედია, როგორც ამ გავლენების მედიუმი;
- ფიზიკური და სიმბოლური საზღვრების და მათთან დაკავშირებული დისკურსის ტრანსფორმაცია თანამედროვე რეალობაში და მისი რეპრეზენტაცია მედიაში;
- ახალი იდენტობების შექმნის პროექტი თანამედროვე ტრანსნაციონალური ორგანიზაციების გზით (ევროკავშირი, ევრაზიული კავშირი, ნატო და ა.შ.) და გლობალური მედიის როლი მის განხორციელებაში;
- გეოპოლიტიკური თამაშები ევროპეიზაციის პროცესში და მათი გავლენა იდენტობის დისკურსზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და მოსაზღვრე რეგიონებში;
- ეროვნული იდენტობის და კულტურის პოლიტიკის ცვლილება გლობალიზაციის პირობებში და მედიის როლი ამ ცვლილებების გატარებაში;
- კულტურული/ეროვნული იდენტობების დეტერიტორიზაცია და რეტერიტორიზაცია; ლოკალური და გლობალური - მათი ურთიერთმიმართება და გლოკალიზაციის გავლენა კულტურული იდენტობების ფორმირებაზე;
- პოსტმოდერნული იდენტობები, როგორც კულტურული ბრიკოლაჟის შედეგი; მედია, როგორც კულტურული ბრიკოლაჟის მედიუმი;
- პოსტმოდერნიზმი და ჰიპერრეალობა - მედია, როგორც ახალი სოციალური რეალობის კონსტრუირების საშუალება;
- მედია, როგორც კულტურული და სოციალური ტექსტი და მისი ახალი შინაარსები ინფორმაციულ საზოგადოებაში;
- ინფორმაციული საზოგადოების ტექნოლოგიური, ეკონომიკური, სივრცითი და კულტურული კრიტერიუმები;
- გლობალური მედიის, როგორც ტრანსკულტურული და ტრანსნაციონალური ფენომენის, როლი;
- ,,მასობრივი თვითკომუნიკაცია" - კომუნიკაციის ფორმების ტრანსფორმაცია ახალი მედიის გზით;
- რეკლამის სოციოკულტურული ფუნქციები; ერი, როგორც ,,ბრენდი" - მისი კულტურის სანახაობრივი ასპექტების რეკლამირება მედიის გზით;
- მედია, როგორც სოციალური ზემოქმედების მექანიზმი; იდეოლოგია, ცენზურა და სოციალური აქტივიზმი ტრადიციული და ახალი მედიით;

- ახალი ამბების მედია და ახალი მედია, როგორც ,,ძალაუფლების თამაშებში" ჩართული აგენტები და მათი გავლენა საზოგადოებრივ პროცესებზე;
- ,,პოლიტიკის კეთების" ტრანსფორმაცია ახალი მედიის ეპოქაში - მედიით გაშუალებული ხილვადობა და ელექტორალური პოლიტიკური კომუნიკაცია;
- პოლიტიკის ველის და ჟურნალისტიკის ველის ურთიერთმიმართება; პოლიტოკრატია და მედიოკრატია თანამედროვე საზოგადოებებში;
- იდენტობები ვირტუალური კულტურის გზით; რეალურ და ვირტუალურ იდენტობებს შორის საზღვრების წაშლის პერსპექტივები;
- ინფორმაციულ საზოგადოებაში სოციალური მედიის ვირტუალურ სივრცეში განხორციელებული აქტივობების რეალურად ქცევის შესაძლებლობები და მათი გავლენა კულტურაზე.

ბ) **პროგრამის შედეგი:**

ცოდნა და გაცნობიერება:

სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს კულტურის და მედიის სოციოლოგიაში უახლეს კვლევებზე დამყარებული ცოდნით, აგრეთვე ემპირიული ინსტრუმენტებით ამ სფეროს აქტუალური თემატიკის საკვლევად. პროგრამა მაქსიმალურად წაახალისებს ინტერდისციპლინურ ხედვას, მონათესავე დისციპლინების (კულტურის ფსიქოლოგია და ანთროპოლოგია, მასმედია და ჟურნალისტიკა, პოლიტიკის მეცნიერება და სხვ.) უახლესი მიღწევების ინტეგრირების საფუძველზე. დოქტორანტს შესაძლებლობა აქვს, არა მარტო წარმოდგენილი სფეროების მიღწევების ინკორპორირება მოახდინოს მის საკვლევ თემატიკაში, არამედ ამ მიღწევების ახლებური და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე ორიგინალური კვლევითი პროექტი დაგეგმოს. ამგვარი პროექტის განხორციელებაში კი მას, გარდა მულტიდისციპლინური ხედვისა, მულტიმეთოდური მიდგომაც ეხმარება - დოქტორანტს შეუძლია მისი საკვლევი თემის შესასწავლად ადეკვატური მეთოდების შერჩევა-დასაბუთება, ინოვაციური გამოყენება და მათ საფუძველზე მიღებული მონაცემების სათანადო კატეგორიზაცია, ანალიზი, სინთეზი და კრიტიკული შეფასება. ამდენად, დოქტორანტს გაცნობიერებული აქვს კულტურის და მედიის ფენომენების საკვლევად ინტერდისციპლინური და მულტიმეთოდური მიდგომის სპეციფიკა და უპირატესობა ვიწრო დისციპლინურ ხედვასთან შედარებით, და უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნითა და ემპირიული ინსტრუმენტებით აღჭურვილს, შესწევს უნარი, შესაბამის აკადემიურ დონეზე დეტალურად დაამუშავოს მისი საკვლევი თემა და ამ სფეროში ცოდნის განახლებას შეუწყოს ხელი (რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე).

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები:

დოქტორანტის კომპეტენცია მოიცავს ინფორმაციულ საზოგადოებაში სოციოკულტურულ პროცესთა კრიტიკულ ანალიზს, მათ შესასწავლად ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, კვლევის მეთოდებისა და ანალიტიკური მიდგომების ორიგინალურ სინთეზს, მოპოვებული მონაცემების რაოდენობრივ/თვისებრივ ანალიზსა და ინტერპრეტაციას, და თეორიული იდეების ემპირიული რეალიზაციის შესაძლებლობას. დოქტორანტს შეუძლია მიღებული ცოდნის და უნარების სხვადასხვა სოციოკულტურულ გარემოში გამოყენება და მის საკვლევ სფეროში არსებული ცოდნის განახლებაში წვლილის შეტანა. მას შესწევს საველე მონაცემების ორიგინალურად გააზრების უნარი; აგრეთვე შეუძლია მიღებული დასკვნების პუბლიკაციის სახით წარდგენა, საერთაშორისო რეფერირებადი სტანდარტის შესაბამისად. ამასთან, დოქტორანტს შესწევს უნარი, დაგროვილი ექსპერტიზის საფუძველზე მოამზადოს მისი საკვლევი თემატიკის შესაბამისი სასწავლო-მეთოდური მასალები. ამდენად, მას შეუძლია კონკრეტული საგნის სილაბუსის შემუშევება, პროფესორის ასისტენტობის გაწევა და სწავლების ინტერაქტიული მეთოდების წარმატებით გამოყენება.

დასკვნის უნარი:

დოქტორანტს შეუძლია დარგის თეორიული მასალის ღრმად და შემოქმედებითად გააზრება, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, კომპლექსური და წინააღმდეგობრივი იდეების კრიტიკული ანალიზი და შეფასება, საკუთარი დასაბუთებული პოზიციის ჩამოყალიბება და პრობლემის გადაჭრისთვის ეფექტური გდაწყვეტილების მიღება. მას შეუძლია საკვლევი საკითხის სიღრმისეული ანალიზის მიზნით მულტიდისციპლინური და მულტიმეთოდური მიდგომის გამოყენება. მას შესწევს საკვლევი ინსტრუმენტების სწორად შერჩევის უნარი, მათი შემოქმედებითად გამოყენება და მათ საფუძველზე მოპოვებული მონაცემების ორიგინალური ინტერპრეტაცია, რითიც ხელს უწყობს დარგში არსებული ცოდნის განახლებას.

კომუნიკაციის უნარი:

დოქტორანტს შესწევს აკადემიური და ფართო საზოგადოებისთვის სამეცნიერო ინფორმაციის წერითი და ზეპირი ფორმით ეფექტური კომუნიკაციის უნარი, ქართულ და უცხო ენებზე. მას შეუძლია ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან შემოქმედებითი ინტეგრაცია და მიღებული მონაცემების წარდგენა სხვადასხვა ჟანრის აკადემიური ნაშრომის სახით (არგუმენტირებული ესე, ანალიტიკური რეფერატი, რეცენზია და სხვ.). მას შეუძლია საკუთარი არგუმენტების ნათლად ფორმულირება და დამაჯერებელი მხარდაჭერით გამყარება, აგრეთვე ოპონენტის არგუმენტების დასაბუთებულად უკუგდება. დოქტორანტს შეუძლია არა მარტო დარგში არსებული ექსპერტიზის დაგროვება და ახალი ცოდნის თავად შექმნა, არამედ მიღებული ცოდნისა და

გამოცდილების სხვებისთვის გაზიარება. მას შეუძლია გუნდური მუშაობა (კვლევით პროექტში) და ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილეობა, აგრეთვე მათი წარმართვა/მოდერაცია. მისი პროფესიული კომპეტენციის აუცილებელი ნაწილია რესპონდენტებთან ეთიკური და კორექტული ურთიერთობის უნარი, მათი კონფიდენციალობის დაცვა და კვლევის ეთიკის ზოგადი პრინციპების ზედმიწევნით განხორციელება. გარდა ამისა, დოქტორანტს შეუძლია მიღებული ცოდნის ადეკვატურად გადაცემა ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

სწავლის უნარი:

დოქტორანტს აქვს სწავლის და კვლევის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვის და წარმართვის უნარი; საკვლევი სფეროს ფარგლებში უახლეს მონაცემებზე კრიტიკული რეფლექსიის და მათ საფუძველზე ახალი იდეების გენერირების უნარი; მიღებული ცოდნის საფუძველზე თეორიული ჰიპოთეზების ფორმულირების და ემპირიული კვლევის გზით მათი შემოწმების უნარი. ამასთან, დოქტორანტს შესწევს უნარი, ისწავლოს სწავლების გზით - მას შეუძლია სოციოკულტურული პრობლემების ახლებურად გააზრება და ცოდნის განახლება არა მარტო სამეცნიერო კვლევის, არამედ სასწავლო პრაქტიკის პროცესში (პროფესორის ასისტენტობისას).

ღირებულებები:

ვინაიდან სადოქტორო პროგრამა კულტურის და მედიის სოციოლოგიის სფეროს მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, ის კულტურული ტოლერანტობის დამკვიდრება-განმტკიცებას და მულტიკულტურულ საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაცხოვრების სტრატეგიების განვითარებას ემსახურება. კულტურული ტოლერანტობის განმტკიცებასთან ერთად, პროგრამა მიზნად ისახავს რელიგიური, ეთნიკური, გენდერული და სხვა სუბკულტურული ჯგუფების მიმართ ტოლერანტობის განვითარებას. პროგრამა ორიენტირებულია ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარების დახვეწაზე, არსებული სფეროთი დაინტერესებულ უცხოელ კოლეგებთან პროფესიული კომუნიკაციის საფუძველზე. დოქტორანტი მკაცრად იცავს პროფესიული ეთიკის პრინციპებს, როგორიცაა მკვლევრის მიუკერძოებლობა და კეთილსინდისიერება, რესპონდენტებთან ეთიკური და კორექტული ურთიერთობების კომპეტენცია, მათი კონფიდენციალობის შენარჩუნება და ა.შ. ამდენად, დოქტორანტი ხელს უწყობს პროფესიული ღირებულებების დამკვიდრებასა და განმტკიცებას. ამასთან, დოქტორანტს შესწევს სხვისი აზრის პატივისცემის და განსხვავებული აზრის მიმღებლობის უნარი, განსაკუთრებით სასწავლო პროცესის ქვედა საფეხურზე მყოფი პირების (ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების) შემთხვევაში.

გ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

წიგნზე მუშაობის მეთოდი - საკვლევ სფეროში არსებული უახლესი ლიტერატურის გაცნობა-დამუშავება, შემოქმედებითად გააზრება და მის საფუძველზე საკუთარი ემპირიული კვლევისთვის თეორიული ჰიპოთეზების შემუშავება.

წერითი მუშაობის მეთოდი - კვლევის მონაცემების წარდგენა სხვადასხვა ჟანრის აკადემიური ნაშრომის სახით (არგუმენტირებული ესე, ანალიტიკური რეფერატი, რეცენზია და სხვ.); კვლევითი სემინარის და სამეცნიერო კოლოკვიუმების წერითი ფორმით წარდგენა (ზეპირ პრეზენტაციასთან ერთად).

პრაქტიკული მეთოდები - ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა და მისთვის ადეკვატური კვლევის მეთოდების შერჩევა-გამოყენება, აგრეთვე მათი ორიგინალური სინთეზი (ინტერდისციპლინურობის და მულტიმეთოდურობის პრინციპების გათვალისწინებით).

დისკუსია–დებატები - მომიჯნავე სფეროებით დაინტერესებულ დოქტორანტებთან დისკუსიების წარმართვა; სწავლების ქვედა საფეხურზე მყოფი სტუდენტების დისკუსიებში ჩართვა და მათი მოდერაცია (პროფესორის ასისტენტობისას); კვლევის პროცესში ჯგუფური ინტერვიუს დამოუკიდებლად ჩატარება და მოდერაცია; დარგის სპეციალისტებთან დისკუსია-დებატების წარმართვა, საკუთარი არგუმენტების ნათლად ფორმულირების და დამაჯერებელი მხარდაჭერით გამყარების, აგრეთვე ოპონენტის არგუმენტების დასაბუთებულად უკუგდების საფუძველზე.

ჯგუფური მუშაობა - გუნდური მუშაობის პრაქტიკა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის, აგრეთვე სწავლების ქვედა საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის მცირემასშტაბური კვლევითი პროექტების დაგეგმვის და ხელმძღვანელობის გზით.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - საკვლევი პრობლემის სწორად დასმა და მის გადასაჭრელად ადეკვატური საკვლევი ინსტრუმენტების შერჩევა; პრობლემის გადაჭრის არსებული გზების ინოვაციური ხედვით გამდიდრება.

შემთხვევის ანალიზი (Case Study) - საკვლევ საკითხთან მიმართებაში სხვა ქვეყნების და რეგიონების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების კომპარატიული ანალიზი, საკუთარი რეგიონის და საზოგადოების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების კომპარატიული ანალიზი, საკუთარი შემთხვევის ინტერპრეტაცია და კრიტიკული შეფასება ზემოთგანხილული შემთხვევების კონტექსტში.

6. პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

სადოქტორო პროგრამაზე დაიშვებიან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ეკონომიკის ფაკულტეტის მაგისტრანტის ხარისხის მქონე პირები, რომლებიც სოციალური თეორიის და მეთოდების (რაოდენობრივი და თვისებრივი) სათანადო კომპეტენციას ფლობენ, რათა

დამოუკიდებელი ემპირიული კვლევის წარმართვა და შესაბამისი სოციალური თეორიებით მისი გამყარება შეძლონ.

- სამუშაო გამოცდილება: არ არის სავალდებულო.
- აუცილებელი წინაპირობა:
  - ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (წარმოდგენილ იქნება სერტიფიკატი, ან სტუდენტი გაივლის გასაუბრებას პროგრამის ხელმძღვანელთან ინგლისურ ენაზე);
  - სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა;
  - გასაუბრების შედეგების საფუძველზე დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.

7. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით**: 180 კრედიტი, აქედან 40 კრედიტი - სასწავლო კომპონენტი და 140 კრედიტი - კვლევითი კომპონენტი. დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, საუნივერსიტეტო სტანდარტის მიხედვით, ადგენს დოქტორანტი, სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით.

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი (40 კრედიტი) გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

სავალდებულო კომპონენტებია:

- დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი;
- სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი;

არჩევითი კომპონენტებია:

- პროფესორის ასისტენტობა – 5-10 კრედიტი;
- აკადემიური წერა - 5 კრედიტი;
- სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია – 5 კრედიტი;
- სოციალური კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი;
- შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში - 5 კრედიტი;
- მეცნიერების მენეჯმენტი – 5 კრედიტი;
- ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა –10 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები – 10 კრედიტი;
- საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები - 5-10 კრედიტი;
- სხვა სახის აქტივობები (საბავშვო უნივერსიტეტი, საბაკალავრო ნაშრომების კონსულტირება, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის

მცირემასშტაბური კვლევითი პროექტების დაგეგმვა და ხელმძღვანელობა და სხვ.) - 5–10 კრედიტი.

დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტი (140 კრედიტი) მოიცავს შემდეგ სავალდებულო აქტივობებს:

- დოქტორანტის კოლოკვიუმი 1 - 20 კრედიტი;
- დოქტორანტის კოლოკვიუმი 2 - 20 კრედიტი;
- სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 100 კრედიტი.

დოქტორანტის კოლოკვიუმის მიზანია მისი სადისერტაციო კვლევის ცალკეული ასპექტების წარდგენა სადოქტორო პროგრამის სპეციალიზებული სექციის სხდომაზე, რაც დოქტორანტურაში სწავლის IV და V სემესტრებში ხორციელდება.

8. **სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკები და რესურს-ცენტრები.

9. ცოდნის შეფასების სისტემა:

დოქტორანტის სასწავლო კომპონენტები ფასდება 100-ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა.

(A) 91 -100 ფრიადი
(B) 81 -90 ძალიან კარგი
(C) 71 -80 კარგი
(D) 61 -70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51 - 60 საკმარისი
(FX) 41 - 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება საერთო საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად, შემდეგი სქემის მიხედვით:

summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

მ)

ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშევებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

10. დასაქმების სფეროები:

სამთავრობო და არასამთავრობო, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებულია სოციოკუტურული ცვლილებების დინამიკის წვდომაზე; კულტურის და მედიის კვლევების და ზოგადად, სოციოლოგიის სასწავლო პროგრამების მქონე უმაღლესი სასწავლებლები; სამეცნიერო/კვლევითი ცენტრები, პოლიტიკური კონსულტაციის ცენტრები, მასმედიის საშუალებები, პრესცენტრები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები.

11. დამატებითი ინფორმაცია:

სადოქტორო პროგრამას შესაძლებლობა აქვს, მოემსახუროს 5 სტუდენტს.

სადოქტორო პროგრამას აქვს ანალოგიები მსოფლიოს არაერთ ცნობილ უნივერსიტეტში, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მედიის, კულტურის და კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა ნიუ იორკის უნივერიტეტში, რომელიც თავისი მიდგომითა და აკადემიური ხედვით საკმაოდ ახლოსაა მოცემულ სადოქტორო პროგრამასთან: http://steinhardt.nyu.edu/mcc/doctoral/

12. **პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი:**

ამირან ბერძენიშვილი

ლია წულაძე

ქეთევან ხუციშვილი

ლალი სურმანიძე

პროგრამის დამტკიცების აქტი: იხ. სხდომის ოქმი.